Untitled

Kakhaber Dzimistarishvili

Mon 9/24/2018 10:54 AM

To:David Sergeenko <dsergeenko@moh.gov.ge>;

მოგესალმებით, ბატონო დავით!

სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის აქტების საკითხი, პრაქტიკულად, დავასრულეთ და ეხლა იყო ჩემთან პავლეს მოადგილე. მოისმინა ყველაფერი და ითხოვა ორიოდე დღე პასუხების გასაცემად. არასასიამოვნო მომენტების მომსწრე შეიძლება გავხდეთ და ამიტომ აუცილებელია პასუხები მივიღოთ. გასულ კვირაში უამრავი ცვლილება შევატანინეთ აქტებში (ადმინისტრაციული წესით) და ეხლა კიდევ გამოვავლინეთ დამატებით დარღვევები. თვითონ დარიცხვის ფაქტები, არ მიგვიღია სადაოდ, ეს თქვენი დავალება იყო. პირიქით, შესაძლოა რაღაც თანხები არც იყოს დარიცხული და ეკონომიკურ შედეგამდე გავიდეთ, სწორედ ისე, რასაც თქვენ ეჭვობდით.

დაველოდებით ახსნა-განმარტებებს.

მერე დეტალურად ჩაგაყენებთ საქმის კურსში იმ დიაგრამებითა და პროცენტული მაჩვენებლებით, რაც მომზადებული გვაქვს და მხოლოდ რაოდენობრივი რომ არ გამოგვივიდეს შემოწმება, თვისობრივად უნდა გადავიდეთ შედეგების ახსნაში.

თქვენი დაბრუნებისთვის მზად იქნება ყველაფერი. მანამდე კი დაბადების დღის მოლოცვებსაც შევუერთდები და გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, თქვენეულ სიბრძნეს ოჯახშიც და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

კიდევ, ჩვენ გავაკეთეთ შეხვედრა ჰეპატიტის თემაზე დაძახებულ თანამშრომლებთან და მოთხოვნილი და უკვე წაღებული დოკუმენტაციის რეესტრს ვაკეთებთ, ასევე ვიცით რა ისაუბრეს ჩვენმა თანამშრომლებმა იქ და ა.შ.

ასე რომ, ვმუშაობთ როგორც შეგვიძლია და თქვენი დაბრუნებისთვის უფრო ხანგრძლივ და ღრმა ანალიზს მოგახსენებთ.

პატივისცემით, კახა